თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2735839

ნომერი: AR1414519

თარიღი : 19.06.2016

გაცემის თარიღი : 25.07.2016

გაცნობის თარიღი : 26.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N130 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ აბაშიძე პ/ნ 01013013021
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 20 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 19/06/2016 წლის #AR1414519 განცხადებით მომართეს თამაზ აბაშიძემ და გიორგი ბაბუნაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს სამსახურის

03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ #130 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.11.029.055; ფართობი: 3700 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის #882015664270 ; მომზადების თარიღი: 26/11/2015 წ.; საკადასტრო კოდი: #01.17.11.029.055) მიხედვით, საპროექტო ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გელათი 95“.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიის ამონაწერის (რეგისტრაციის # B14113802; თარიღი: 14/11/2014) მიხედვით შპს „გელათი 95“-ის (206044804) დირექტორია გიორგი ბაბუნაშვილი.

სამსახურის 03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების საფუძველზე არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა. დღეის მდგომარეობით, მესაკუთრეს აღარ გააჩნია აღნიშნული პირობების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს თამაზ აბაშიძის და გიორგი ბაბუნაშვილის 19/06/2016 წლის #AR1414519 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013 წლის №615602 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.